# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/257 „ 1 „ ოქტომბერი 2018 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის**
**მეორე ეტაპზე დ. სვანაძის დაშვების შესახებ**

„მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე კანდიდატების დაშვების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 3 სექტემბრის №1/241 გადაწყვეტილების „ბ“ ქვეპუნქტითა და „მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე ზოგიერთი კანდიდატის დაშვების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 3 სექტემბრის №1/241 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით, მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსზე დარეგისტრირებულ კანდიდატ დავით სვანაძეს მიეცა დამატებითი ვადა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან დოკუმენტის წარმოდგენისათვის. დ. სვანაძის მიერ მითითებული დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი, დადგენილ ვადაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დავით სვანაძე არ იქნეს დაშვებული 2018 წლის აგვისტოს თვის მოსამართლეობის შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი